

დადგენილება #აგ-0891-20
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

31.12.2020წ.

ქ. თბილისი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 31 დეკემბერი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

იოსებ თუაშვილი პ/ნ 31001048509, მცხეთა ს.ძალისი 22-ე ქ. N6

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებიდან ირკვევა - მცხეთაში, სოფ.ძალისში აბონენტ იზო თუაშვილის (აბ.4110088702) აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დადგინდა, რომ აბონენტის შვილს მაგნიტის საშუალებით გაჩერებული ჰქონდა მრიცხველის მთვლელი მექანიზმი, შესაბამისად მრიცხველი არ აღრიცხავდა მოხმარებულ (15 ამპერი) ელ.ენერგიას. აღნიშნულ ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას006108 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა აბონენტის შვილი იოსებ თუაშვილი (პ/ნ 31001048509), რომელიც აღიარებს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. იოსებ თუაშვილის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 31 დეკემბერს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. იოსებ თუაშვილს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა მისთვის ჩაბარებულ შეტყობინებაზე წერილობით აღნიშნა, რომ არ გამოცხადებოდა სხდომაზე. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; დამრღვევის ახსნა-განმარტება და შეტყობინება. (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A716523 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, ელ.ენერგიის დატაცებას) რომელთა მეშვეობითაც დგინდება იოსებ თუაშვილის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228²-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. იოსებ თუაშვილი პ/ნ 31001048509 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ნიკო გოგიტიძე
კომისიის თავმჯდომარე